პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მარიამ ივანიშვილი-დემურიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის დრამატურგის, მწერლისა და პუბლიცისტის ნატალია აზიანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, მარიამ ივანიშვილი-დემურიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს დრამატურგის, მწერლისა და პუბლიცისტის ნატალია აზიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:486054 Y:4620191
ნატალია აზიანის ქ.
X:485939 Y:4620114
N
1:1,000

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032408262**
თარიღი: **22/03/2024**

როგორც მოგეხსენებათ, მ/წლის 6 მარტს, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე განხილული იქნა საკითხი ნაძალადევის რაიონში, მარიამ ივანიშვილი-დემურიას ქუჩასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის დრამატურგის, მწერლისა და პუბლიცისტის ნატალია აზიანის სახელის მინიჭების თაობაზე.

მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ კომისიაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების და საკითხის ინიცირების განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032408970**
თარიღი: **29/03/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს ინიციატივას ნაძალადევის რაიონში, მარიამ ივანიშვილი-დემურიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის დრამატურგის, მწერლისა დ პუბლიცისტის ნატალია აზიანის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01240954018**
თარიღი: **04/04/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 29.03.2024 წლის # 03-032408970 (04.03.2024 წ. #14-01240892452-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ნატალია აზიანი

(1878-1943)

დრამატურგი, მწერალი და პუბლიცისტი

ნატალია გაქართველებული სომხების ოჯახში იზრდებოდა. დონდაროვების ოჯახი ერთ-ერთ გამორჩეულ და საუკეთესო ოჯახად ითვლებოდა იმდროინდელ გორში.

ნატალია აზიანმა პირველდაწყებითი განათლება მიიღო გორის კერძო პანსიონში, სწორედ ამის შემდეგ სწავლა განაგრძო ქალთა გიმნაზიაში და თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში.

1900-იანი წლებიდან ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, სწორედ ამ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ–გაზეთებში, მათ შორის: „მოგზაური“, „ჩვენი ცხოვრება“, „სიტყვა“, „დრო“ და „მნათობი“.

1897 წელს დაწერა პირველი პიესა „ინჯილერი და დოხტური“, რომელმაც „ივერიის“ რედაქტორის ილია ჭავჭავაძის მოწონება დაიმსახურა. ამის შემდგომ თავის მხრივ, ილიამ ნაწარმოები ქართულ დრამატულ საზოგადოებას გადასცა, რომელმაც იგი სცენაზე 1898 წელს დადგა. აღნიშნული პიესა „ინჯილერი ან დოხტური“ საკმაოდ გამორჩეულად არის დაწერილი, ეს იყო მისი პირველი ნაბიჯი სალიტერატურო ასპარეზზე.

„ჩვენ არა ვართ ჩვეულნი და განებივრებულნი ქართულს სცენაზედ ცხოვლად დახასიათებულ ადამიანების ხილვით; უფრო ხშირად ჩვენ ვხედავთ კარიკატურებს... ერთი ადამიანი, კერძო კაცი არ შეადგენს არც მასალას, არც ინტერესს საზოგადოებისას და ლიტერატურისას. ნიჭიერია იგი ავტორი, რომელიც ათასფეროვანს ცხოვრებაში იპოვის საზოგადო მოვლენას, ტიპს... ქ-ნი აზიანი იმითი არის შესანიშნავი, რომ შექმნა

ლიტერატურაში ახალი ტიპები. ცხოვრებამ დიდი ხანია შეჰქმნა იგინი, მხოლოდ ლიტერატურაში მათის დახასიათების პატივი ეკუთვნის ქ-ს აზიანს და აი მისის ნორჩის კალმის უეჭველი ნიჭერებაც!..“

ნატალია აზიანის პიესებიდან გამორჩეულია – „ფული და ხარისხი“, „ცოდვა“. ასევე აღსანიშნავია „დეზერტირკა“, რომელიც 1925 წელს კოტე მარჯანიშვილმა დადგა რუსთაველის სახელმწიფო თეატრში.

ნატალია აზიანი, გარდა პიესებისა აქტიურად წერდა მოთხრობებსა და სატირულ ფელეტონებს მიმდინარე პოლიტიკურ და ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე. ნატალია აზიანს, გამოუქვეყნებელი დარჩა ხელნაწერი მოგონებანი თეატრსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეებზე. თავის ნაშრომებს ნატალია ფსევდონიმით „აზიანი“ აქვეყნებდა. ნატალია დონდაროვას, ხშირად სწორედ ნატალია აზიანად მოიხსენიებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ნატალია აზიანი მწერალი ქალი ყოველთვის სიყვარულითა და სითბოთი იხსენებდა თავის მშობლიურ ქალაქს, გორს. ნატალია აზიანი დონდაროვას კალამს ასევე, საკმაოდ მკაცრი და ხშირად ასევე მწვავე სატირული ჟანრის პუბლიკაციებს წერდა ხოლმე. სწორედ ამიტომ მაშინდელი დიდგვაროვნები და ზოგჯერ თავად ქალბატონებიც კი კიცხავდნენ მას.

ნატალია აზიანის შემოქმედებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, ასევე ქალი შემოქმედის, როგორც ავტორის ლეგიტიმაციისთვის გამორჩეულად საინტერესოა კომპოზიტორ ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლისა და დრამატურგ ნატალია აზიანის საავტორო უფლებებისთვის მიმდინარება პროცესები და ბრძოლა, რომელიც სწორედ ამ ორმა ადამიანმა წამოიწყო 1930-იან წლებში.

ნატალია აზიანი 1943 წლის 31 იანვარს, 65 წლის ასაკში, გარდაიცვალა. მწერალი დაკრძალულია ვაკის სასაფლაოს პანთეონში, ქალაქ თბილისში.